№ 12 1917
კვირა მარტის 19

წელიწადი მეხუთე
გამოცემისა

ფასი
15 კ.

ერთობის მედროშე
(ფანქრით ნახატი ლ. გუდიაშვილისა)

ნოე ჟორდანია
თბილ. მუშათა დეპუტატების თავმჯდომარე

აკაკი ჩხენკელი
სახემწიფო სათათბიროს დეპუტატი, კავკასიის თავარი კომისარი

მუშა-პოეტი
კარდაცვალებიდან 30 წ. შესრულების გამო
რომ დაგაშორეს ეს ოხერი ლარიბების ბედის წყალო?
ამოდუღდი, რომ ქვეყანა ერთ ნაირად გაახარო.

მოქალაქენო! მსარი მიეცით ახალ მთავრობას ბ ზურგი გაუმაგრეთ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ამხანაგებო!

დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია!

საღღეისო

ასჯერ გაზომე, ერთხელ გადასჭერიო, უთქვამს ხალხის სიბრძნეს. ჩვენი მოქმედების სარჩულად ამ ანდაზის დადება ისე არასოდეს არა ეოფილა საჭირო, როგორც დღეს.

დიდებულს და მასთან საიდუმლოებით მოცულს დროში ვსცხოვრობთ. უზარმაზარ რუსეთში საშინელი ბრძოლაა. ბრძოლის დროს ბევრი ცვალებადია. ბერეული გამარჯვება სრულებითაც არ მოასწავებს საბოლოოდ გამარჯვებას. ვინ ამაღლდება საბოლოოდ, ან ვინ დაეცემა სამუდამოდ ახლო მომავალში, არც ასე ადვილი საოქმელია.

ძველი რეჟიმის დაბრუნება დიდის ხნით ეოველად შეუძლებელია. რუსეთი ან უნდა განახლდეს საბოლოოდ, ან უნდა დაიდუბოს,—ეს აუცილებელია.

რადგანაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ას ოთხმოცი მილიონიანი ხალხი წყეეთ დაიდუბოს, თავის თავად ცხადია, რომ რუსეთი უნდა განახლდეს საბოლოოდ და ძველი უნდა მოკვდეს.

მაგრამ ეოველი სულთმობრძავი მაღე კი არ ეოხოვება ამ წუთისოფელს. ზოგი სწრაფად განუტევებს სულს, ზოგი კი დიდხანს ებრძეოლება ეოველ წამს სიცოცხლისა.

ასეთია ძველი რეჟიმიც. მართალია, ის სასიკვდილოთ არის დაჭრილი, მაგრამ თუ ჩვენ ეველამ განურჩევლათ ერეოვნებისა, მდგომარეობისა, წოდებისა და კლასისა დიდი სიეორთხილე, დიდი სიდინჯე და წინდახედულობა არ გამოვიჩინეთ, ძველი რეჟიმი კიდევ წამოგვეოფს თავს და კიდევ ეფარჯალებს რამოდენიმე ხანს.

ეოველი ჩვენი მეცადინეობა იქეთკენ უნდა ეოს მიმართული, რომ ახალ მთავრობას ნიადაგი გაუმაგრათ და ძველ რეჟიმს ეოველ გვარი საშუალება მოვუსპოთ, რომ თუნდა ცოტას ხნითაც თავი წამოგვეოს.

ამისათვისაც უბრალოესათ ეოველისა საჭიროა მშვიდობიანობა, თანხმობა და ერთობა. უწინ ჩვენ ეველანი დარწმუნებული ვიეოთ, რომ თუ კი მოძრაობა ოზურგეთში ან გორში გაიმარჯვებდა, მთელ რუსეთში ძველი რეჟიმი დაემხობოდა. დღევანდელმა მომენტმა კი დაგვანახვა, რომ თუმცა უზარმაზარ რუსეთში ბევრი ცენტრია, მაგრამ მაინც თავი და თავი მნიშვნელობა პეტროგრადსა და მოსკოვსა აქვთ.

დღეს ორივე ამ მთავარ ცენტრში მოძრაობამ გაიმარჯვა და ძველი დაამარცხა. აქედან ტალდა ახალის გამარჯვებისა და ძველის განადგურებისა სწრაფათ ედება მთელს რუსეთსა და განაბირა ადგილებს.

ცხრაას ხუთშიაც კარგათ დავიწყეთ საქმე. მაგრამ ვიხილეთ თუ არა გამარჯვების რიყრაყი, მშვიდობიანობა დავარღვიეთ, თანახმობა და ერთობა მოგესპეთ. ბოლოს თავადს დაეტაკა, ნოქარი ვაჭარს, მუშა მრეწველს, და ღარიბი მდიდარს.. ვისაც რაიმე კერძო ანგარიშები ჰქონდა მეზობელთან, მაშინ მოინდომა გასწორება და სამაგიეროს გადახდა.

ერთობა დაირღვა, დავიქსაქსეთ, ცალ-ცალკე ეველა უძღური გამოვდექით. ამით ისარგებლა ძველმა რეჟიმმა, ცალ-ცალკე ეველა დაგვამარცხა და დაგვიმორჩილა.

მაშასადამე რომ იგივე არ გამეორდეს, რა უნდა ვქნათ, როგორ უნდა მოვიქცეთ?

შური, მტრობა, უთანხმოება, დავა, კერძო

შეურაცყოფა უსათუოთ უნდა დავიფიწყოთ.

დღეს ჩვენი მეგობარი და ამხანაგი უნდა იყოს ყველა, ვისაც გულწრფელათ უნდა ახალის სრული გამარჯვება და ძველის სიბოროტე დამარცხება,—თავადი იქნება ის, გლეხი, მდიდარი, დარბაი, მუშა თუ ბურჟუა, სულ ერთია.

თუ დღესვე ერთმანერთს წავსწვდით კისერში, ერთმანერთს დავერიეთ და მოგინდომეთ ბირადი ანგარიშების ,ესწორება, ძველი ისევ წამოჭყოფს თავს, დაამარცხებს ახალ მთავრობას, დაგვჯდება თავზე.

მერე რა იქნება მაშინ?

ისევ ის, რაც იყო?

გარწმუნებთ, ბევრით უარესი.

სულს ამოგვართმევენ, ძმარს გვადენენ ცხვირიდან, დაბადების დღეს გვაწყევდინებენ.

მშიშარა ადამიანი ყოველთვის სასტიკია.

ძველი რეჟიმი მშიშარა იყო, ის ყოველისფერში და ყველგან სიფრთხეს ჭხედავდა, დადატს ელოდა და ამიტომ არაფისა ჭზოგავდა.

თუ მან ჩვენის შეცდომების წყალობით ტოტს ხნითაც წამოჭეო თავი, ადარაფისა და ადარაფფერს ადარ დაზოგავს, ყოველისფერს გაანადგურებს: მაშისადამე მტკიცეთ, ეროვნულათ დავიცვათ ყველგან ქალაქათ და სოფელში სრული მშვიდობიანობა, თანხმობა და ერთობა.

ცხოვრებაში ბევრია უსამართლობა, გაუტანლობა და ამიტომ უთუოთ ბევრს გვახსოვს ერთმანერთისაგან შეურაცყოფა, დაჩაგვრა, ორბირობა, მოტყუება, გაყვლეფა და სხვა ამგვარი ბოროტება, რასაც არა თუ ჩვენში, უფრო დაწინაურებულ ხალხშიც აქვს საბუნარათ ადგილი, მაგრამ დღეს ყოველივე ეს აუცილებლათ უნდა დავიფიწყოთ და ამით საშუალება მივსცეთ ახალ მთავრობას, რომ სამუდამოთ მოიშაგროს ფეხი და ძველი რეჟიმი საბოლოოთ დაამარცხოს. როდესაც დადგება ის სანეტარო დრო, როდესაც ახალი მთავრობა განმტკიცდება და ძველის ადგილისა ადარაფითარი შიში ადარ გვექნება, მაშინ არა თუ მეტი სამართლიანობა და თანასწორობა დამყარდება ცხოვრებაში, ყოველ ჩვენგანს თავისუფალი გზა ექნება გახსნილი თავისი საკუთარი სიმართლის საძიებლათ და ადასაბგენათ.

ძველი რეჟიმის ბოლიტიკა, რომელიც თვითონ ინახავდა სოფლად უანგლების და ავაზაკების, ადარ არსებობს.

დღეს სოფლის ხელშია ყოველისფერი. ამიტომაც სოფლის ხალხს დღეს დიდი ბასუხისმგებლობა ადევს კისრათ. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ბოლიტიკა მისთვის არ არის საჭირო, რომ ის უკეთ უბატრონებს თავის თავს, ვიდრე ძველი ბოლიტიკა ჭბატრონობდა.

ამისათვის კი საჭიროა, რომ მტაცებლობას, ცარცვა გლეჯას, სხვისი საკუთრების შიჩემებას არასად ადგილი არა ჭქონდეს.

სოფელს შეუძლიან უანგლობა, ქურდობა, ავაზაკობა, მტაცებლობა მოსპოს და კიდევაც უნდა მოსპოს. ამით ის დაამტკიცებს თავის სრულ სიმწიფეს და ერთგულებას ახალი მთავრობისადმი.

თუ ამის ნაცვლად სოფელში ცარცვა-გლეჯამ უფრო იმატა, ყოველი შავრაზმელი თამამათ იტყვის: „ბატონებო, ბოლიტიკა ადარა გვაავს და ცხოვრება ადარ შეიძლებაო.

სოფელელებო, თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ უბოლიტიკოთ თქვენ უკეთ მოაწყოფთ თქვენს ცხოვრებას.

დღეს თავადი, გლეხი და ازნაური ადარ არსებობენ ახალმა მთავრობამ გააუქმა წოდებები, დამამცირებელი წოდება გლეხისა მოისპო.

დღეს ყველა სწორია, ყველა მოქალაქეა. ამიტომ ჩაჭკიდეთ ერთმანერთს ხელი, ვისაც კი ახალი მთავრობის გამარჯვება კინდათ და დაიცავით, დაიფარეთ სოფელი. ძალმომრეობას, ძალადობას, ვისიმე დაჩაგვრას, მტაცებლობას ნუ ექნება თქვენ შორის ადგილი.

შეიძლება ბევრი თქვენგანი გულნატკენია. შეიძლება ბევრ თქვენგანს შეზობელმა წაართვა რამე—ველახი, ყანა, ტეე ან სხვა ძველი ბოლიტიკის მოქრთამებით, მაგრამ დღეს თქვენ დროებით უნდა დაიფიწყოთ ეს, დღეს არ უნდა ეცადოთ, უკან დაიბრუნოთ ის, რაც თქვენია, რაც მეზობელმა წაგართვა.

ამგვარი დაჩაგრული და გაუგლეფილი ყველგან ბევრია და თუ ყველამ მოინდომა დანაკარგის უკან დაბრუნება, ამას მოჭყვება დავა, მტრობა, ჩხუბი; ერთობა და თანხმობა დაირღვევა და მაშინ ძველი რეჟიმიც თავს წამოჭყოფს

მაშინ გაუგლეფილი ისევ გაუგლეფილათ დარჩება. დღეს კიდეცრომ დაიბრუნოთ ის, რაც

სამართლიო ოქვენია, თუ ძველი რეჟიმი აღსდგა, მოვა ძველი პოლიცია, გაგამორახებთ და ისევ წაგვართმევთ.

დღეს დაანებეთ თავი ეროვლიოვე ამ გვარ დავას, თვით თქვენს მოსისხლე მტერს შეუამხანაგდით, თუ კი ის დაგეხმარებათ ახალი წყობილების დამყარებაში.

გარწმუნებთ, რომელსაც ახალი მთავრობა საბოლოოთ გაიმარჯვებს, ის თვითონ გასწორებს თქვენს საქმეს, ის თვითონ დაგიბრუნებთ შას, რაც თქვენთვის მეზობელს ან სხვას წაურთმევია.

დღეს თქვენში ბევრი გამოჩნდებიან ისეთი სიძიერადები, რომლებიც სხვადასხვა ჭორებით ეცდებიან თქვენი ერთობისა და თანხმობის დარღვევას.

ბევრი გაჩნდებიან ისეთები, რომლებიც ბლეხს თავადზე მიუსისინებენ, დარიბს მდიდარზე.

იცოდეთ ასეთი პირები საერთო საქმის მტრები არიან, მათ ახალი მთავრობის დამხობა უნდათ და ძველის აღდგენა.

ამიტომ სასტიკათ სდევნეთ ასეთი პირები დაკავეთ ეველგან და აღგილობრივ მილიციას ჩაბარეთ.

კავკასია დასახლებულია მრავალი ერებით. ახალი მთავრობის გასამარჯვებლათ ჩვენში აუცილებლათ საჭიროა სრული თანხმობა და ერთობა კავკასიის ერთა შორის.

სალხის თავისუფლების მტერნი და ძველი რეჟიმის მომხრენი უსათუოდ ეცდებიან სხვადასხვა ჭორებით ერთმანერთს წაგვიკიდონ ჩვენ და სომხები, თათრები და სომხები. ასეთი მეცადინეობა აქა-იქ უკვე დაიწყო.

მაგრამ ასეთ ბნელ ძალებს სასტიკათ უნდა შეებრძოლოთ ეველა. თუ კერძოთ ჩვენა და სომხებს შორის სადაო კითხვებია, ეს კითხვები ჯერ-ჯერობით უნდა დავიტოვოთ, ერთმანერთს ხელი ჩავკიდოთ და ძმურათ, მეგობრულათ, თანხმობითა და ერთობით უნდა ვეცადოთ, ახალ მთავრობას ძველი რეჟიმის საბოლოო დამარცხებაში ხელი შეეწეოთ.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, თუ ახალი მთავრობა დარჩა რუსეთში და ძველი რეჟიმი მოისპო სრულიად, ეველა ერობებათა კანონიერი უფლებანი დაკმაყოფილდება.

ჩვენ ქართველები უსათუოთ მიგიღებთ ტერიტორიალურ ავტონომიას, რისაც ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ხოლო საჭიროა, რომ ახლავე, ამ თავითვე შევუდგეთ მზადებასა და მუშაობას.

სომხები მიიღებენ თავის ერობენულ უფლებებს, აგრეთვე თურქები და სხვ. მაშინ სადაო კითხვები ჩვენ შორის თავის თავად გადაწყდება და ჩვენ შორის მეგობრობა და მეზობლობა უფრო განმტკიცდება.

თუ ჩვენ თანხმობის და ერთათ მოქმედების ნაცვლათ, ერთმანერთთან ანგარიშების გასწორება მოვიწადინეთ, ასეთი უგუნური ქცევით ჩვენ ლახვარს დავსცემთ ახალ მთავრობას და ძველს რეჟიმს გავაცოცხლებთ. მაშინ არა თუ არავითარ ავტონომიას არ მიგიღებთ არც ჩვენ და არც სომხები და თათრები, ავტონომიაზე კრინტსაც კი არ დაგვაძვრევინებენ.

მაშ ასე:

ეველამ დავიიწყოთ ბიერადი, კერძო საქმე; შეეკრთდეთ, შეეკავშირდეთ ეველა ერთათ და საერთო ძალდონით, თანხმობითა და ერთათ მოქმედებით მხარი დავუჭიროთ ახალ მთავრობას და ნიადაგი გამოვაცალოთ ძველს.

დავიიწყოთ გუშინდელი მტრები: ვინც ჩვენ დაგვეხმარება ახალ მთავრობის გამაგრებასა და გამარჯვებაში, ეველა ჩვენი მოყვარე და მეგობარი.

გაუმარჯოს ახალ მთავრობას!

გაუმარჯოს ერთობას!

იოსებ მონადირაშვილი

(გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო)

შავი ღამე *)

რა ღამეა, შავი ღამე, როგორ გრგვინავს ზღვა და ხმელი...
ირგვლივ კვნესა, ოხვრა-ვიში, სიკვდილი და განსაცდელი!
ოჰ, შესდექით, მუხანათნო, გააჩერეთ მახვილ-ხელი.
ერთ-ურთისა სისხლს რომ ანთხევთ ხომ არა ხართ ნადირ-მგელი?

ხედავთ აგერ თქვენი შურით მე მკერდი მაქვს გაპობილი,
სადაც სატრფოს მივიყრდნობდი, სიყვარული ფეთქდა ტკბილი.
გეფიცებით, სიცოცხლე მსურს, გეფიცებით მყავს ცოლშვილი,
და რათ გინდათ, რომ მაწამებთ და რათ მინდა მე სიკვდილი!..

ოჰ, რა კარგი იყო მაშინ ჩემ საყვარელ სამშობლოში,
ძმა-კაცებთან, მეგობრებთან, ამ ხან-მოკლე საწუთროში...
თავსა ვთვლიდი ბედნიერად, არა მქონდა თუნდა გროში,
ღღეს-კი ულვთოდ უნდა მოვკვდე უცხოეთის უდაბნოში...

რას მერჩოდით, რა გინდოდათ, რომ სიკვდილში გადამტყორცნეთ.
ჩვენ რა გვქონდა გასაყოფი, ერთმანეთი რად დავხოცეთ?!
აჰა, ვკვდები: აწ ვერ ვნახავ ჩემს ქვეყანას. ჩემსა მოძმეთ,
ცოლი მაინც მომიკითხეთ და შვილები დამიკოცნეთ...

მაგრამ, არა, თქვენ რა გინდათ, თქვენ რა გინდათ ჩემს ქოხმახში,
ხომ შრომა და გაჭირვება არ მაკმარეთ ჩემს ოჯახში?
სისხლიანი ბოროტება თქვენი სახით მეფობს ხალხში,
თქვენ-კი ქეიფ-სიმღერითა დასეირნობთ ტურფა ბაღში...

ეს მახვილი, ეს თოფ-ხმალი! რისთვის მოვკლა, რისთვის, რათა?..
მე ყანაში წასასვლელად სამუშაოდ ვიყავ მზათა!
როცა კარზე თქვენ მეწვიეთ, შინ გადება გაიმართა:
„სასიკვდილოთ გიწვევენო, იყავიო დილით მზათა“!

ახლა რა გსურთ, ახლა რა გსურთ: ეს ტყავი თუ კიდევ ძალი?—
მაგრამ ტყავი წამხდარია, ზედ ატყვია სისხლის კვალი...
მკერდი მაინც შემიხვიეთ, ვკვდები, მოდით, მასვით წყალი,
თქვენ გარბიხართ?—ხა, ხა, ხა, ხა! თქვენი ზნე და სამართალი...

რა ღამეა, შავი ღამე! როგორ გრგვინავს ზღვა და ხმელი:
ირგვლივ კვნესა, ოხვრა-ვიში, სიკვდილი და განსაცდელი...
ოჰ, შესდექით, მუხანათნო, გააჩერეთ მახვილ-ხელი:
ერთ-ურთისა სისხლს რომ ანთხევთ ხომ არა ხართ ნადირ-მგელი!..

*) ეს და ა. გერსამიძის ლექსი სამი თვის წინად უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ საცენზურო დაბრკოლების გამო ვერ დაიბეჭდა. ვბეჭდავთ ახლა. რედ.

უსწავლელი მასწავლებელი

იოსებ დავითაშვილი სრულიად სკოლაში არა ყოფილა. მისთვის ბედს არ გაუღიმნია, რომ კლასიკური ცოდნა მიეღო. ის თავის მეცადინეობით სწავლობდა წერა-კითხვას და ვითარდებოდა წიგნების კითხვის საშუალებით. მას ბუნებრივმა ნიჭმა ხელი შეუწყო და ამ უსწავლელმა პატარა კაცმა ჩვენს ცხოვრებაში სათანადო ადგილი დაიჭირა და სახალხო პოეტი შეიქმნა. დავითაშვილამდე უსწავლელ კაცისა არაფერი სჯეროდათ. გლეხი მუშა სამასხარო საგნად იყო გამხდარი. ხმას არსად ამოაღებინებდენ: რა ესმის მაგას, რა სწავლა მიუღიაო? მაშინდელი შეხედულობით, ჭკვიანი ის იყო, ვისაც კაკარდა ეკრა, თუნდა ის სრულიად ჩერჩეტი ყოფილიყო როგორც ეს ხშირად არის თითონ მუშა პოეტი მშვენივრად ახასიათებს მაშინდელს ყალბს შეხედულებას: „კაჭჩუმდი — მუნჯი ჯგონიგარ, ვთქვი რამე — ამბობთ ბეჭდია“! საშინელს სულიერს ტანჯვას და დამცირებას განიცდის დავითაშვილი, როცა მარტოკა ობოლი გამოდის ამ მოჯადოებულს წრეში და თამამად გაიძახის: „მუშასაც შეუძლიან მართალი სიტყვის თქმაო“. პირველად მას არაფრად აგდებდენ, მის ლექსებს არ ბეჭდავდენ და უნდოდათ გულში ჩაეკლათ ამ ხალხის შვილის ხალხის გულიდან ამოძახილი სამართლიანი ხმა. მაგრამ სიმართლემ სძლია. ეს უბრალო მუშა მძლავრად შეიჭრა ნასწავლთა ბანაკში და დაუმტკიცა მათ, რომ მუშებსაც შეუძლიანთ საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობა. მის წინ ქედს იხრიან არამც თუ უბრალო კალმოსნები, არამედ ის ბუმბერაზი მწერლებიც კი, როგორიც იყვნენ ილია და აკაკი. დავითაშვილის გამოსვლა იყო ერთი მხრით ნასწავლთა 'შეხედულობ'ის დამარცხება მშრომელ ხალხზ დ და მეორე მხრივ დემოკრატიის გამხნევება და წაქეზება თავიანთ საქმის საკეთებლად. აქედან იწყება დემოკრატიის გამოფხიზლება რომელიც დღეს ასე მძლავრად არის შემოჭრილი ჩვენს ცხოვრებაში და მოსვენებას არავის აძლევს პირველი ხმა მუშებიდგან ბოროტების წინააღმდეგ გაისმის მუშა დავითაშვილის ხმა და ამიტომ სრულიად სამართლიანი იქნება, თუ მას უწოდებთ პირველს მახარობელს დემოკრატიის ბანაკიდგან მოსულს. მან პირველად გაისროლა დამბაჩა და მას უკან მოსდევს დარაზმული მაყრიონი გუგუნით. მან პირველმა გაკაფა გზა ეკლიანი და მას მოჰყვნენ მრავალი შეგნებული მუშები, სათანადო ადგილს იჭერენ ყველა დარგში. ჩვენ ახლა მარტო ერთი აღარა გვყავს მუშა მწერალი: ისინი მრავლად არიან და ახალი სიცოცხლეც შეაქვთ ცხოვრებაში. დემოკრატიამ უნდა იამაყოს დავითაშვილით, ქუჩიშვილით, რუხაძეთი და სხვებით. ეხლა ვერავინ ბედავს: შენ უსწავლელი ხარ, რა გესმისო. დემოკრატია გამოფხიზლდა და ამათ გამოფხიზლებაში იჭედება ჩვენი ერის კეთილდღეობა და თვით მშრომელი ხალხის ბედიც დ ვითაშვილმა თავის ტკბილი ლექსებით აღუძრა გლეხს სწავლის სურვილი.

„გლეხისა შვილო, ბიჭო პატარა,
ისწავლე წიგნი ისწავლე ჩქარა“.

ეუბნება ის გლეხის შვილს. გლეხთა პოეტი მარტო წერვით არ კმაყოფილდება და სადაც კი მოახელებს უსწავლელ გლეხის შვილს, მიჰყავს თავისთან და ასწავლის წერა-კითხვას.

აი რას ამბობენ თელავში მისი მაშინდელი მეგობრები: საკვირველი კაცი იყო იოსებიო. რასაც იღებდა, სულ საწყლებს ანდომებდა და თითონ ტიტველა დადიოდაო.

საკვირაო სკოლა ჰქონდა გახსნილი ქარხანაში და მუდამ კვირა-უქმით სავსე იყო ღარიბი ბავშვებით და წერა-კითხვას ასწავლიდაო. წ გნებს და რვეულებს თითონ ყიდულობდა ვისაც ტან სამოსი არა ჰქონდა, თითონ აცმევდა. ხელოსნებსაც არ აძლევდა მოსვენებას და სულ წიგნებზედ გველაპარაკებოდაო. ზოგი მასხარათ იგდებდა, მაგრამ ბევრს შეგვაყვარა წიგნის კითხვაო.

იოსებ დავითაშვილმა აღზარდა მთელი თაობა ხელოსან შაგირდებისა, და ეს უსწავლელი ხელოსანი გადაიქ ცა საუკეთესო და საყვარელი მასწავლებელი ქართველი დემოკრატიისა და ამიტომ განსაკუთრებით შეგნებული დემოკრატის ვალია ამ ღირსეული შვილის ღირსეულად დაფასება. დე, ყველა წერა-

კითხვის მცოდნეს ჰქონდეს დავითაშვილის ნაწერები. ყველა მუშის და შეგნებული გლეხის ოჯახში ეკიდოს დავითაშვილის სურათი, რომ მით უკვდავი ვყოთ ჩვენი საყვარელი მუშა მწერლის სახელი.

სოსო მაჭავარიანი

სომეხთა დრამატ. გაბრიელ სუნდუკიანცი
(გარდაცვალებიდან 5 წ. შესრულების გამო)

გაბრ. სუნდუკიანცი

ამ თვეში სრულდება ხუთი წელიწადი, რაც გარდაცვალა სომეხი დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანცი.

სომეხთა პრესსა უეჭველია აღნიშნავს ამ გარემოებას. სუნდუკიანცის ღვაწლი შესანიშნავია სომეხთა სცენისათვის. „პირველი ნაბიჯები სომხების თეატრისა, ვწერდი მე ჩემ წიგნში (»Характеристики и воспоминанія«, წიგნი მეორე, 1905 წ.), უნაყოფოთ არ დარჩენ, სუნდუკიანცის პიესების დახმარებით. ცოცხალ ცხოვრებიდამ გამოყვანილმა გმირებმა საზოგადოების ყურადღება მიიზიდეს ახლად დაბადებულ სომხის სცენის მიმართ. ასეთივე დიდი ღვაწლი მიუძღვის სუნდუკიანცის რეპერტუარს თითქმის იმავე დროს აღორძინებულ ქართულ თეატრის წინაშე. მე მახსოვს „პეპო“ ქართულ სცენაზე 1875 ან 1876 წელს. მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ არტისტები, იყვნენ მხოლოდ სცენის მოყვარულები. მაგრამ ისეთი აღტაცებით ისმენდნენ მაყურებლები ამ პიესას და „ხათაბალას“, რო უნებლიეთ დაიბადა ამსრულებლების გულში სურვილი სამუდამო სცენის დაარსებისა«.

მართლაც ჩქარა დაარსდა სამუდამო თეატრი როგორც სომხებში, ისე ქართველებში, და ადგილობრივ რეპერტუარში დამკვიდრდა სუნდუკიანცის თეატრი. მას შემდეგ როგორც სომხებში, ისე ქართველებში დაიბადა ბევრი ნიჭიერი დრამატურგი, რომელთაც გამოიყენეს ახალი ტიპები, მაგრამ სუნდუკიანცის თეატრი მაინც ჯერ არ მომკვდარა და ამ უკანასკნელ 40—50 წლის განმავლობაში ხალხი სიამოვნებით უყურებს მის ძველ რეპერტუარს.

სუნდუკიანცი ქართულ და სომხურ სცენებისათვის იყო არა მარტო ავტორი, არამედ რეჟისორიც. მის პიესებს არდგენდნენ მის დახმარებით. არტისტს უნდა ჰქონოდა შესწავლილი ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი ამ პიესებში ისე, როგორც ავტორი უჩვენებდა ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან იმ დროს ადგილობრივ სცენებს არა ჰყვანდა არც საკმაოდ გამოცდილი არტისტები, არც საკმაოდ ნასწავლი რეჟისსორები.

რაც უნდა მცოდნე რეჟისსორი ჰყოლოდა ადგილობრივ სცენებს, რაკი სუნდუკიანცის პიესას დასდგამდნენ, რეპეტიციებზე უეჭველად ავტორი უნდა მოეწვიათ და რეჟისსორობა მისთვის დაეთმოთ.

სუნდუკიანცის ნიჭმა და მეცადინეობამ დაუახლოვა და დაუკავშირა ერთმანერთს ორი ნორჩი, ახლად დაბადებული ადგილობრივი სცენა. სომხის არტისტი ჩიმიშკიანი ხშირად გამოდიოდა ქართულ სცენაზე და პეპოს როლს ასრულებდა. ქართველი არტისტები ხშირად დაიარებოდნენ სომხურ თეატრში, მეტად მაშინ, როდეჩაც იქ სუნდუკიანცის პიესებს თამაშობდნენ.

ეხლა ქართველებში და სომხებში სამუდამო სცენამ ზურგი გაიმაგრა და მათ შეუძლიანთ ცალკე მუშაობა. მაგრამ ამ 30—40 წლის წინად, როცა მათ არა ჰქონდათ საკმაოდ არც ორიგინალური რეპერტუარი, არც ჰყვანდათ საკმაოდ არტისტები, ერთმანერთის დახმარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ცალკე ისინი მეტად სუსტნი იყვნენ, შეერთებით ძლიერდებოდნენ და ჩქარა გაძლიერდნენ კიდეც. ამ საქმეში, ვიმეორებთ, განსვენებულ სუნდუკიანცს დიდი ღვაწლი მიუღვის

გ. თუმანიშვილი

ლეონიდ ეპისკოპოსი
სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, თავმჯდომარე საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობისა.

საქართველოს ეკლესიის აღდგენა

ამა 1917 წლის მარტის 12 რიცხვი განსაკუთრებულს გრძნობას იწვევს ყოველის მორწმუნე ქართველის გულში. 12 მარტს 1917 წელს დღიდან დამოუკიდებლობის დაკარგვისა, საქართველოს ეკლესიამ გადადგა პირველი გაბედული ნაბიჯი თვისის ავტოკეფალურის უფლების მოსაპოვებლად.

დიდიან საკათალიკოსო 12 მოციქულთა ტაძარში იწყო დენა ერმა და ბერმა, ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ. ამ დროს ყოველი იქ შეოფი რადაც ადფრთოვანებულის გრძნობით მოელოდა ეკლესიის სასარგებლოდ. იწყება წირვა, მაგრამ ეს წირვა განსხვავებულია სხვა წირვებიდან, რომლებიც ამ 100 წლის განმავლობაში სრულდებოდა; ქართველ მღვდელმთავართა და შრავალ რიცხოვანი სამღვდელოების თანამსახურება, სამი გუნდი მგალობელთ არა ჩვეულებრივი საქართველოს ეკლესიის მიხედვით სამოციქულოს და სახარების წაკითხვა სალხისადმი მიქცევით, თავისუფალ ეკლესიაზე საუბარი მღვდელ-მთავარ ლეონიდესი, ძველა-მოსიდ ახალი რუსეთის მთავრობის და მის მხედრობაზე ვედრების აღვლენა, ნაწირვებს პარაკლისის კადახდა კალაგანში, ოქმის შედგენა, ხელის მოწერა იქ დამსწრეთა, დეპეშის გაგზავნა ახალ მთავრობის სახელზე — მისალოცი, ნდობის გამოცხადების და ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობაზე და სხვა და სხვაზე ადმტაცი სულის გვეთების ჩაქსოვა ყოველივე იქ მოშხდარს ამბავზე, კაცს იზიდავდენ შორეულ წარსულისაკენ, რომ ჩვენი ეკლესია სდუდა და გადმოდიოდა.

დმერთო მიეცი ძველა-მოსიდება განახლებულს რუსეთს, დატანჯულ ქართველ ერს და მის ეკლესიას!..

კ. გძელი

გიგო ხეჩუაშვილი

ნიჭის ძალა

იოსებ დავითაშვილის ცხოვრებიდან

სამ სურათად

პირველი სურათი დოესში, მეორე — თბილისში, მესამე — თელავში.

მოქმედნი:

ბატონი — შუა ხნის კაცი.

ქალბატონი — ბატონის შესაფერი.

კნეინა — ამათი ქალი.

იოსები — ცამეტი წლისა.

უფროსი ძმა იოსებისა ჩვეულებრივი კაცი.

ძალუა იოსებისა — კაპასი დედაკაცი.

ვანო)

ვასო) იოსების ტოლი მეგობრები.

შაქრო)

ექიმი.

სურათი პირველი

სოფელ დოესში: საშუალოდ მორთული ოთახი. ტახტი მუთაქებით, მაგიდა, სკამებით კედლებზე ძველებური იარაღი: ფარი, ხმალი, თოფი და სხვა.)

I

ბატონი. (ტახტზე მხარ-თეძოზე წამოწოლილია. კეკლ-ტარიან ჩიბუხს დოეების ბერვიო ხამუშ-ხამუშ სწევს. სიჩუმის შემდეგ ბოხი ხმით კასძახებს) ბიკო, იოსებ!

II

იოსები (მარდად შემოვა. ფართუკი აკრავს. სიჩქარით ხელში წიგნი შეოჭყვეტა-ტდილობს, ბატონმა არ შეამჩნიოს. მოწიწებით). რა გნებავთ ბატონო?

ბატ, ურმები წავიდნენ ტყეში?

იოს. დიალ, ბატონო, წავიდნენ.

ბატ. წყალი შედგმულია ფეხების დასაბანად?

იოს. შედგმული გახლავთ.

ბატ. ეგ რა გიჭირავს ხელში?

იოს. (კაუბედავად) წიგნი გახლავთ.

ბატ. ვინ მოგცა?

იოს. „კნეინას“ ოთახს ვალაგებდი და იქ ავიღე. გაუფთხილდები...

ბატ. კითხვა იცი?

იოს. ცოტათი ვიცი.

ბატ. წერა?

იოს. წერაც ვიცი. შემიძლიან მოკითხვის წიგნი დავწერო.

ბატ. ვინ გასწავლა?

იოს. ჩემმა უფროსმა დამ.

ბატ. სადა ცხოვრობს შენი და?

იოს სოფ. ატენში გახლავთ გათხოვილი.

ბატ. როგორი ქალია? ლამაზია?

იოს. (გულუბრიყვედოდ). ლამაზიც არის და კეთილიცა... „ქვაბის მურით მელანი მომილესა და ხარის ბეჭზე“ მაწერინებდა ხოლმე.

ბატ. აბა წაიკითხე, რა სწერია მაგ წიგნში? იმ ადგილს წაიკითხე, სადაც შენ უფრო მოგწონს.

იოს. (წათამამებული დაუწყებს ფურცვლას და ეძებს თავის მოწონებულ სტრიქონებს) ისეთი კი რამეები სწერია აქ ბოლო... ეი ვიპოვნე. (მძიმედ და ჩუთვლით კითხულობს. უკანასკნელ სტრიქონის სიტყვებს უფრო კარგვევით კამოსთქვამს).

„მაქვს ს...ა...ქო...ნელი ური...ტხვი...
ვერ...ვისკენ ანა...წონები...
მიეტი...კლა...ხაკთ საკურ...ჭლე...
ათავისუფლე მო...ნები...

ბატ. (თანდათან კამოერკვევა. შეაჩერებს). კარგი, გეყოფა-.. ბევრი კითხვა გაწყენს... მოგაცდენს... გული აგიცრუვდება... მუყაითი ალარ იქნები...

იოს. (ვერ მიხვდება ბატონის სიტყვებს). არა ბატონო, გული არ ამიცრუვდება... ხალისი უფრო მომემატება რამდენსაც ბევრს წავიკითხამ...

ბატ. (უკმაყოფილოდ). სულელო. კითხვაზედ კი არ გელაპარაკები, საქმეზე გეუბნები... საქმეზე აგიცრუებს გულსა... მოდი, ფეხსაცმელები გამხადე.

იოს. (მიგა, წიგნს ტახტზე დასდებს და დაუწყებს ხდას). განა სულ მაგისთანები სწერია ბატონო, უფრო კარგები სწერია...

ბატ. გეუბნები, შენი საქმე არ არის...

შენ შენმა უფროსმა ძმამ დაგაყენა ჩემთან ვალში... უნდა პირნათლად გვემსახურო და გადასწყვიტო.

იოს. წიგნის კითხვა რას დამიშლის? როცა საქმეს მოვრჩები, მაშინ წავიკითხამ ხოლმე...

ბატ. (კიდევ აუმაღლებს). კიდევ არატუნებს! გელაპარაკები, შენი საქმე არ არის... შენ უფრო იცი, თუ მე! .. ადე აიღე ეგ წიგნი, წაიღე, თავის ალაგას დადე და ტასტი შემოიტანე. ნახე, წყალი ცივი არ იყვეს.

იოს. (მძიმედ აიღებს წიგნსა და მიდის სადხასკენ). როგორ არ მოეწონა ბატონს: „თავგისუფლე მონები" რო წაუკითხე? მაგას უნდა მუდამ ყმათა ვყავდე... გადავწყვიტო ვალი, ისე მოუსვა აქედანა, როო...

ბატ. (ჩიბუხზე თამბაქოს კვასწორებს). ჰმ! ეგრე პატარა რომ თავისუფლებას გაიძახის, როცა გაიზრდება, მაშინ რალას იზამს!.. მართლა, სულ გადამავიწყდა... (ეტეგ წამოდგება და ფეხსაცმელების ჩაცმას დაიწყებს)

III

იოს. (ტასტს შემოიტანს). თავსაც ხომ არ დაიბანთ, ბატონო? (შეამჩნევს) ფეხსაცმელებს რალათ იცვამთ? წყალი ცხელია.

ბატ. ეხლა აღარც ერთს დავიბან, ადარც თავსა და აღარც ფეხებსა. სალამოზე ორივეს დავიბან... „კნიაზ" იორამთან მივდივარ, გლეხებთან სადაო საქმე გვაქვს ერთად გადასაწყვეტი... შენ აქაურობას ყური უგდე, წიგნებს ხელი აღარ ახლო. გეყურება შენა?!. (კვნა).

იოს. (მარტო ტასტს ტახტის ქვეშ შესწევს. მტვერებს ასუფთავებს) ღმერთო, მალე გადამახდევინე ამათი ვალი. მერე თუ რამე ხელობაზე არ დავდექი, ჩემი ასე ცხოვრება არ იქნება. წიგნი აღარ წაიკითხოვო, დიაღ, მაგას რო ყური დაუგდო, სულ ბნელაში უნდა დავრჩე, ქვეყნიერებისა აღარაფერი არ გავიგო. ჯერ დავალაგო: ჩემ ამხანაგ ვანოსაც დაუძახებ და იმდენს წაუკითხამ, რომ გულის ყურში ჩავაგდებ და სწავლას მოვანდომებ... მეგონა ბატონს მოეწონებოდა, წიგნი რო ვიკოდი. წამკითხეო, რო მითხრა, გამეხარდა. როცა ღა იმას თვალით დავანახო ჩემ ხელში წიგნი, მაშინა თქვას...

IV

ვანო. (შორიდან შემოიძახებს) ჰაი, იოსებ, იოსებ!

იოს. (თავისთვის ასუფთავებს და განაგრძობს. ვანოს ძახილი არ ეეურება). უნდა ამხანაგებს მოუყარო თავი. წრე შეავდგინოთ. ყველამ სწავლას მოვკიდოთ ხელი, რომ ქვეყნის ავი და კარგი გავიგოთ, მტერი და მოყვარე გავარჩიოთ, თორემ თავის დღეში სულ ჩაგვრა მონობაში ვიქნებით

ვანო. (მიახლოვდება კარებთან) შინა ხარ, იოსებ?

იოს. (გახარებული მიეგებება) ვანოს გაუმარჯოს! მოდი ბატონები შინ არ არიან.

ვანო (კარებში გაჩერდება). ვიცი რომ შინ არ არიან. საბძლის ბოლოდან დავინახე: შენიბა-ტონი იორამიანთკენ მიდიოდა.

იოს. მართალია. თქვა: იქ მივდივარო. გლეხებზე უნდა ვილაპარაკოთო. მოდი, ჩვენც ბატონებზე ვილაპარაკოთ... წიგნებს წაგიკითხამ.

ვანო (ფერა ბედავს შესვლას) რო მოგვისწრონ ბატონებმა?

იოს. ნუ გეშინიან. ისინი სალამომდინ არ მოვლენ... მე ვიცი, იორამიანი სადილად ბატონს არ გამოუშვებენ.., ნარდსა ჭადრაკს გააჩაღებენ... ქალბატონი და კნეინაც ოთარაანთ დაჭპატიჟეს ლოტოზედა.

მანო. (გაკვირვებული). ლოტოზედა? ლოტო როგორი საქმელია, ნეტა...

იოს. (დიმიდით). საქმელი კი არ არის სათამაშოა.

ვანო. ნარდიცა და ჭადრაკიცა?

იოს. ისინიც სადამაშოებია.

ვანო. მე საქმელები მეგონა: დაჭპატიჟესო, რო თქვი. აბა გლეხებს სათამაშოდ ვინმე როდის დაგვიპატიჟნია!?

იოს. მოდი წიგნი ვიკითხოთ. მეც მ გიტომ გეუბნები: ყველაფერი იქა სწერია... აი, აქ დაჯექი. (უჩვენებს ტასტზედ) მე წავალ, წიგნებს შემოვიტან. (კვნა).

ვანო. (ჩამოჯდება. გაკვირვებული თვალიერებს ოთახის მორთულობასა). ჰე-ჰეეი, რამოდენა ჭრელ-ჭრელი რამეებია!.. არა გავს ჩვენ ოდასა: კიდობანისა და ვარცლის მეტი არაფერი დგა შიგა..

V

იოს. (წიგნებს შემოიტანს და ტახტზე დაუწყობს. ერთ-ერთს გადაშლის). აბა ყური დაუგდე, რა ლექსები სწერია ამ წიგნში... (მოუჯდება ახლოს) ეხლა თანდათან გავიკვლიე კითხვა. . რომელიც მომეწონება ხოლმე ზეპირათ ვსწავლობ... (კითხულობს რაც შეუძლიან გარკვევით).

სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტეგის ენაო,
დილიდან საღამომდისინ არ მქონდა მოსვენებაო
დილით ძროხაში მგზავნიდნენ, საღამოს ღორი-
სკენაო.—
ქორ მეძებრებს თან მატანდნენ, ხომ ინადირებ
შენაო;
თუ კურდღელი დაიჭირო, ტყავი შენ, ხორცი
ჩვენაო,
და თუ მელასა დაიჭერ, ხორცი შენ, ტყავი ჩვენაო.

ვანო. (გაშტერებული ჩაჰყურებს წიგნში). ჰეი დალოცვილსა, ვიღასაც დაუწერია, ნამდვილი სიმართლე დაუწერია. თუ კურდღელს მიუყვანდა, ტყავი უნდა მიეცათ და თუ მელასა და ხორცი . აბა უყურე იმათ სამართალსა!.. მე რო „კნიაზ“ იასონთან ვიყავი მოჯამაგირედ, პირდაპირ ეგრე მექცეოდნენ...

იოს. აი სწორედ მაგიტომ უნდა ვისწავლოთ გლეხებმა წიგნი, ჩემო ვანო, რომ ეგები თვალები გავახილოთ... წიგნისთან ქვეყანაზე არაფერია, რაც უნდა შორეული ამბავი იყვეს, ყველაფერს თვალწინ დაგიყენებს... ეგები ამ ზაფხულს დრო მოვახელოთ და როგორმე შენც გასწავლო წერა-კითხვა. გარედ უქმად ყოფნის დროს „ჩილიკა ჯოხსა“ და „სალაობასა“ სწავლა არ სჯობია? რა იტყვი ჰა?.. ხომ ყაბული ხარ?..

ვანო. (ისეთ ჩაყინებით ჩაჰყურებს წიგნსა წახალისებული). ეგ ძალიან კარგი იყო. კიდე, კიდე წაიკითხე, შენი ჭირიმე, ახლა სხვა. ღმერთმანი ისე მომწევს შენთან გული... თვალები ეხლა ავახილე... კალო ასეთია საყვერივლოდ გამოსული გოგო-ბიჭებითა სავსე: ზოგი „ლახტობასა“ თამაშობს, ზოგი „კოჭაობს... რამდენი მეძახეს, მაგრამ შენ კენ გამოვწიე, რაკი ვიცოდი ქალბატონი და კნეინა შინ არა გყავდნენ და ბატონიც სხვაგან წავიდა.

იოს. მიკვირს, ღმერთმანი. ვინც წიგნი არ იცის, ნეტა როგორა სძლებს!.. გუშინ ვეცადე: მინდოდა, ერთი ლექსი გამომეყვანა. ვიფიქრე და დავიწყე:

გლეხებმა წიგნი ვისწავლოთ.
ეს არის ჩვენი ვალიო...

როგორც აქამდინ მივედი, უცებ დავინახე ქალბატონი და ღვთის წყალობა გაქვს, ჩქარა მივმალე ქაღალდიცა და საწერ-კალამიცა. მაშ ნათვე ქვაბებს დავუწყე ხეხვა...

VI

ქალბატონი. (მოუდოდნელ ხმაურობით შემოვა. ხელში ქოდგა უჭირავს, უკან მოსდევს კნეინა). ეს რა ამბავია! ჰაი თქვე გასაწყვეტებო, თქვენა! დაიგულეთ რაღა სახლი მარტოკა! აქ რა სკოლა გაგიმართავთ, თუ სასასწავლებელი მაქვს!..

კნეინა. (ერთ-ერთ წიგნს აიღებს ახრუწვით). დედაა! ჩემი წიგნები!

იოს. (დაიბნევა. წიგნს ტახტზე დაუგდებს და წამოხტება). ღმერთმანი, ქალბატონო, ყველაფერი რიგზეა სუფთად დალაგებული... მარტო წიგნებსა ვკითხულობდით...

ვანო. (გაფითრებული, იოსებს ეფარება). მე არა ღმერთმანი... (კაიბარება).

ქალბატონი (იოსებს ქოდგას დარტყამს). წადი, დიაკარგე, ეხლავე აქედანა, შე არამზადავ, შენა! შენმა სიცოცხლემ, შენ ხომ თვალში მიზიხარ და ახლა ყარტლიანი გლეხის ბიჭებიც შემომირეკე სახლში!

იოს. (შეშინებული). აღარა, ღმერთმანი, ქალბატონო! (გაგარდება).

ქალბატონი (ფეხების ტაბა-ტუბით მიჭყვება კარებამდინ). ფუი! ფუი! (კნეინასაც ქოდბატონს მისდევს).

გიგო თეძმისხეველი

ფარდა.

(გაგრძელება იქნება)

რ ო მ ა ნ ს ი.

მხოლოდ შენ ერის გეძებს ფიქრი, აზრი-გონება,
მხოლოდ შენით ხარობს გული... და ედონება...
ოჰ, სადა ხარ, სად ნარნარებ, რომელ მხარეში,
როდემდისინ უნდა ვიყო სიმწუხარეში?
ირგვლივ ბნელა...ცის ტატნობზე არ კრთება სხივი,
ერთხელ რომ დაგინახავდე, სხვას არას ვეძიე...
გადმოდახე ზღვა და ხმელი, მოდი, მოგელი,
მოდი, მე შენ შემოგწირე ჩემი ყოველი!..

ბ. პელაშვილი

როგორ ვიცხოვროთ?

ცხრა თავიანი გველეშაპი იყო, თვალებიდან და პირიდან ცეცხლის მფრქვეველი, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, ვარდ-ყვავილებს რომ შეხედავდა—ახმობდა; მზეს შეხედავდა—აბნელებდა.

ამ ცხრა თავიან გველეშაპს ბნელ ხაროში დატყვევებული ჰყავდა ხალხის შვილი, მზე-ჭაბუკი...

დიდხანს იტანჯებოდა ეს მზე-ჭაბუკი; მზის სხივებს მოკლებული, სინათლეს გადაჩვეული, შავსა და თეთრს ვეღარ არჩევდა...

ბოლოს ხალხისათვის თავდადებულმა გმირებმა, ბევრი ზვარაკის განწირვის შემდეგ, ცხრა თავიანი გველეშაპი მოჰკლეს და ბნელ ხაროდან მზე-ჭაბუკი ამოიყვანეს...

მაგრამ დღის სინათლეზე ამოსული მზე-ჭაბუკი დაიბნიდა, დატორტმანდა, გაბრუვდა: თვალი მზისთვის ვერ გაესწორებინა, თვალთიას სინათლე ვეღარ შეემცნო, ყურიანს—ხმაურობა ვეღარ შეესმინა და ბურანში მყოფი ჟამისი-ჟამად ამოიძახებდა ხოლმე:

— ვაიმე, რაღა ვქმნა, როგორ ვიცხოვროო?

სწორედ ამ მზე-ჭაბუკს მოგვაგონებს დღეს მძიმე ბორკილებისაგან განთავისუფლებული სოფლის ხალხი.

მრავალი მხვერპლი განიწირა, ვიდრე ხალხს ქვედან მოშორდებოდა ძველი თვითმპყრობელური ბატონობა, ძველი უპასუხისმგებელო მართვა-გამგეობა!

მთელი რუსეთის მშრომელ ხალხთან ერთად ჩვენი მშრომელი ხალხიც მთელი ათეულ და ოცეულ წლობით იტანჯებოდა ძველი მთავრობის მძიმე უღელქვეშ: მათრახი, გადასახლება, სარჩობელა, უსამართლოდ დასჯა, დევნა და შევიწროვება,—ეს ხალხს ძლიერ კარგად ახსოვს...

ცხრაას ხუთის პირველი ვარდობის დღეები და შემდეგ მოყოლილი ნარ-ეკლის წლები ყველას ახსოვს... მაშინდელი ერთობისთვის ტანჯულ-წამებულთა რიცხვი ასობით კი არა, ათასობით დაითვლება...

და დღეს რომ ძველი მთავრობა უცებ დაემხო ხალხის საუკეთესო შვილთა თანხლობით, ჯარისა და მუშების მონაწილეობითა თითქო დაუჯერებელ ამბად მიაჩნია...

თავისუფლების ხმა გრგვინავს, რუსის რავდენიმე მილიონიანი ჯარი წითელი დროშებით ქუჩებზე მიმოდის, ძველი მართვილგამგებელნი, ხალხის მტანჯველნი და სახემწიფოს მოღალატენი ციხეებში სხედან, მეფე და დედოფალი მკაცრ განსამართლებას ელიან, ხალხის განთავისუფლების ცხრა თვალა მზე ბრწყინვალედ კაშკაშებს და... ძველის მთავრობის მონობაში აღზრდილნი, სოფლის ბოგოლანი და ძველი თაობა მაინც კიდევ იჭვით გამოიყურებიან!..

დაბეჩავებული სოფლელი კი სასოწარკვეთილებით კითხულობს როგორ ვიცხოვროო?

სოფლელი უფრო საქმის ხალხია, ლამაზი სიტყვები მას ვერ აძღობს: სასამართლო, მინდორი, ვენახი, ტყე, წყალი, სკოლა და სხვა, აი ის დარგნი, რომელთა წესიერი მეთვალყურეობა ახლა უფროა საჭირო, რომ ხალხი საფრთხეში არ ჩაცვივდეს.

ბევრ ადგილას თავისუფლება ისე გაიგეს, რომ თავი აიხსნან, ყოველგვარი უწესობა ჩაიდინონ,—ზოგან სასოფლო ბანკს დასცემიან (ძველი მთავრობის ნამსახურნი), ზოგან ტყეს ეძალებიან, ზოგან—მეზობლებს სცარცვავენ!

ეს არის შავბნელ ძალთა, ძველი მთავრობის ამყოლ-დამყოლთა პარპაშის შედეგი, რომ ისევ ის დრო დაიბრუნონ, როდესაც თვითონ ხელს ხალვათად შლიდენ და ხალხი თვის ლუკმად ჰქონდათ გადაქცეული.

ხალხი კი ჰწუხს, წელში ვერ გასწორებულა და კითხულობს: როგორ ვიცხოვროო?

ჩვენი ქვეყნის ბევრ სოფელში უკვე ახალი კაცებია ამორჩეული, მაგრამ ეს ამორჩეული კაცები თითქო გაბედვით ვერ ჩასდგომიან სოფლის მმართველობას.

ძველი მთავრობის ბატონობა სამუდამოდ ღაემხო და მისი გამობრუნება რომ აღარ შეიძლება—ეს ჭეშმარიტებაა.

ამიტომ—ყოველის ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, რომ სოფელი შეგნებით შეუდგეს ახალი მთავრობის განმტკიცებას.

სოფელმა ახლავე უნდა შემოიღოს თვითმართველობა.

როგორც უკვე ნათქვამია, ამოირჩიოს აღმასრულებელი კომიტეტი: სამი, ხუთი თუ შვიდი კაცისაგან შემდგარი. ამათგან ინიშნებიან მოსამართლენი და სოფლის კომისარი, რომელიც მხოლოდ კომიტეტის დადგენილებათა აღმასრულებელი და სოფლის მეთვალყურეა, კომიტეტის წარმომადგენელი მონაწილეობს მაზრის კომიტეტში და სხ.

კომიტეტს აქვს საკუთარი ბეჭედი და სხ., იგი ემორჩილება თბილისის მთავარ კომიტეტს.

კომიტეტი განაგებს მთელი სოფლის ყოველგვარ საქმეს და მისი ნების აღმასრულებელია. ამავე დროს იგია ახალი მთავრობის დამკვიდრების ხელის შემწყობი და დარაჯი...

უნდა მოისპოს ძველებური ფორმალისტური მიწერ-მოწერა, საქმის გაჭიანურება და სხ., სამართალი უნდა იყოს სწრაფი და ადგილობრივი.

ამას ითხოვს ჩვენი სოფლის სარგებლობა, რომ ხალხი არ დაიცაროს შორს ტანტალით.

თვით ხალხმა ყოველის დონისძიებით უნდა დაიცვას წესიერება, სხვისი პირადობისა და ქონების ხელშეუხებლობა; სოფლის ყოველი მეკომური, ყოველი მცხოვრებელი უნდა ეცადოს, გაუფრთხილდეს ტყეს, მინდორს, ყანას და სხ., რაიცა მთელი სოფლის კუთვნილებას შეადგენს.

სოფლის ყოველი შეგნებული ადამიანი იმას უნდა ცდილობდეს, ადგილობრივი თვითგანვითარების წრეები მოაწყოს და ხელი შეუწყოს სოფლის კულტურულ-ეკონომიურ შემოქმედებითი მუშაობას.

ყოველივე ეს ბევრისთვის აშკარაა, მაგრამ არის ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, როგორ შეეგუოს ახალ წესწყობილებას!

ჩვენმა ხალხმა ახლა ფნდა გამოიჩინოს თვითმოქმედების უნარი, რომ რუსეთის განთავისუფლების მზემ მასაც გაუნათოს.

იოსებ იმედაშვილი

ი. დავითაშვილს

ოცდაათმა წელმა განვლო,
რაც გაშორდი ამ ქვეყანას
და მას შემდეგ ქარიშხალი
გიმღეროდა ნაღველ ნანას...

სიცოცხლეში შენს მოძმეებს
სულ მომავალს გვიგალობდი:
დღეს აღსრულდა ყველაფერი,
რასაც მაშინ შენ ნატრობდი...

ბოროტება ძირს დაემხო,
სიმართლისა ღმერთი აღსდგა!
და ქვეყანა წამებული
განახლების გზაზე დადგა...

აწ მოვსულვართ შენს საფლავზე,
გიხდით მცირე დღესასწაულს,
წითელ დროშას ვაფრიალებთ—
შენს მშვენებას, შენს სამკაულს...

მოგვილოცავს გამარჯვება:
სტკბება ტურფა არე-მარე,
სიცოცხლით თუ ვერ მოესწარ,
აჰა, სულით გაიხარე!

გიგო თეძმისხეველი.



როგორ გავიცან ი. დავითაშვილი

(მოგონება)

1877—8 წლებში ცხოვრებაში ახლად გამოსული, ზეტცერის ავეჯის ქარხანაში შევედი სამუშაოდ. თავისუფალ დროს წიგნების კითხვა მიყვარდა და თან მიტანილი მქონდა, რომ სადილის შემდეგ ერთი საათის დასვენების დროს წამეკითხა ხოლმე. ჯერ ყველას გაუკვირდა ჩემი ასეთი ქცევა, მაგრამ ჩქარა კარგა მოზდილი ჯგუფი იყრიდა თავს ჩემს სამუშაო დაზგასთან და იმ მცირე დროს წიგნების კითხვას და მაზე სჯა-ბაასს ვანდომებდით. ამ ჯგუფში იყვნენ ძმანი ჩოდრიშვილები, გველესიანი, სიკო გამყრელიძე და სხვა. ზემოხსენებულთ გარდა იყვნენ სხვებიც, რო-

მელნიც ჩქარა ჩამოგვშორდენ, მეტადრე მაშინ, როდესაც წიგნები შემიძვირდა წასაკითხად. შენ, ძმაო, აღარა ხუმრობ,—მითხრა გამყრელიძემ.—მარა შენი ჯამაგირი, როგორც ვხედავ, წიგნების შესაძენათ არ გეყოფაო და თუ დამიმადლებ, მე გაგაცნობ ისეთ კაცს, რომელსაც წიგნებიც ბევრი აქვს და დიდი სიხარულითაც გათხოვებს ხოლმეო. მე, რასაკვირველია, დამადლებას რას დავინანებდი, თუ რამეს დამეხმარებოდა.

იმავე საღამოს მე და სიკო შევიდით ელისაბედის ქუჩაზე დავით აბდუშელიშვილის სახელოსნოში, სადაც შესვლისათანავე სიკომ მიაძახა დაზგასთან მიმჯდარ დავითაშვილს, რომელიც გაზეთს კითხულობდა: იოსებ, მაღარიჩი მოამზადე, შენი ჭკუის კაცი მოგიყვანე, იმედიათქვენ მეგობრობას გააწყობთო.—სიკო არც მოსტყუვდა. მართლა თავისუფალ დროს მე და იოსები სულ ერთად ვიყავით—იოსებს წიგნები ბლომადა ჰქონდა და მე მიმქონდა ხოლმე ჩემს წრეში საკითხავათ.

იოსები ძალიან სწუხდა ხელობის ნაწარმოების ფასის დაცემაზე. ერთის მხრით ამის მიზეზათ იმასა სთვლიდა, რომ ხელობა გავაყალბეთ, ყურს არავინ ვუგდებთ იმის წესზე შესრულებასაო. იმისი ხშირად უსაქმობის მიზეზიც ამნაირი ქადაგება იყო, რადგანაც ყველა ქარხნის პატრონი ერიდებოდა:—„მოაყოლებს ხოლმე, კაცო: ხელოსანმა თავისი ხელი არ უნდა გააფუჭოს, ყველა საქმე წესზე უნდა შეასრულოსო. იმას კი აღარ ამბობს, მუშტარს თვალი არ აქვს და ავი და კარგი ერთ ფასად გადისო“. იტყოდენ ქარხნის პატრონები იოსებაზე, მეტადრე ემდურებოდენ იმაზე, რომ შეგირდებს აფუჭებსო: დაუჯდება, კაცო, სკოლას გამიმართავს ქარხანაშიო. ერთად ერთი სახელოსნო აბდუშელიშვილისა იყო, სადაც ნება ჰქონდა თავისუფლად მოქცევისა იოსებს. იოსებს დასაბეჭდი ლექსებიცა ჰქონდა, როცა გავიცანი, რომელსაც ვკითხულობდი ხოლმე.

მოგეხსენებათ იოსები ძალიან ღარიბათ იყო, ტანისამოსიც ღარიბული ეცვა და არც არას ფიქრობდა იმაზე. მისი ფიქრები სულ ის იყო, რომ თავისი ლექსები გამოეცა როგორმე.

მე ერთი ათი თუმნი მომიგროვდა ზეტცერთან. გამოვიტანე და გადავსწყვიტე ტანისამოსი მეყიდნა, სხვათა შორის ქამარიც უნდა მეყიდა ვერცხლისა, რომელიც 60 მანეთი ჯდებოდა. მარა იოსები ძენანებოდა, რომ ტანისამოსი არა ჰქონდა და შევეხვეწე დათანხმებულიყო, რომ ქამრის საფასური ექვსი თუმნის ნახევრით იმისი ტანისამოსი გვეყიდნა და მე სამი თუმნით თუმცა ვიწრო, მარა მაინც მომივიდოდა ქამარი. ამ სიტყვით აღელვებული გადამეხვია სულმნათი და მითხრა: თუ გინდა სიკეთე მიყო მეგობარო, აბა ასე ვქნათო: იმ სამი თუმნით, რომელსაც ჩემი ტანისამოსისთვის ხარჯავ, ჩემი ლექსები გამოვსცეთ და ტანისამოსს მაშინ ვიყიდი, როცა წიგნები გაიყიდებაო და მე კი ჯერ ესეც არა მიშავსრა; მღვდელს ჭილობშიაც იცნობენო,—დაუმატა ხუმრობით სულმნათმა.

ჩვენ მართლაც გამოვეცით ლექსები, რომელსაც სათაურად ჰქონდა „სტვირი“.

იოსები კიდევ დიდი ხანი იყო უსაქმოთ, ბოლოს ქუთაისს მიიწვიეს ეკლესიის კანკელის გასაკეთებლად. მეც თელავს გადავედი, დავბინავდი და ვფიქრობდი იქ იოსების გადაყვანას, თითონ ვერ ბედავდა; შემდეგ თელავის ფერისცვალების ეკლესიის კანკელი ავიღე გასაკეთებლად და პირდაპირ წ ვედი გორში, რადგანაც იმ ჟამათ იყო დასთან და წავიყვანე თელავს, სადაც ცოტა ხნის შემდეგ ხელოსანთა ამხანაგობა გავმართეთ, მაგრამ, სამწუხაროთ, დიდმა ხანმა არ გასტანა, რომ ხელიდან გამოგვეცალა ძვირფასი ამხანაგი.

ამხანაგი **ვარდენ გოცირიძე**.

რევოლიუცია და სხვა ამბები

◆ **სოფელმაც გაიღვიძა**, ყველგან მიტინგები იმართება, აღმასრულებელ კომიტეტებს ირჩევენ, ძველ მოხელეებს ითხოვენ.

◆ **გარე კახეთის** სოფლების დიდი მიტინგი გამართა 12 ს. ხინოწმინდაში იოსებ იმედაშვილის თავმჯდომარეობით. ორატორებმა დღ ვანდელი ამბები აუხსნეს, ხალხს წესიერება ურჩიეს და დროებით მთავრობას შესაფერი რეზოლიუცია გაუგზავნეს. მიტინგს ოციათასამდე ქალი და კაცი დაესწრ. სიტყვების დაწყებამდე ბადხდილ იქმნა პანაშვიდი თავისუფლებისათვის დახოცილთა სულის მოსახსენებლად.

◆ **ნამეფარი ნიკოლოზი** თ ვის მეუღლით

ცალცალკეა დატყვევებული. ორივეს სამართლში აძლევენ.

ომიანობის მოსპობის შესახებ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მთავარმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მებრძოლ ქვეყნების ჯარსა და მუშებს მოუწოდა, თქვენი თვითმპყრობელი მეფენი ლაამხეთ და ომიანობის მოსპობა მოითხოვეთ.

იოსეგ დავითაშვილი, ჩაგრულთა მოსარჩლე და სახალხო მგოსანი, დაიბ. 1850 წ. დიდი გაჭრვება გამოიარა, ბატონის ნაყმევი იყო, თავისით ისწავლა წერა-კითხვა, თვით განვითარდა, სახალხო ლექსების წერა დაიწყო და მუშათა გ თვითცნობიერებას საფუძველი დაუდო. ყარდ იცვალა სიღარიბეში 1887 წ. მარტის 13, თელავში და იქვე დაიკრძალა. დღეს თელავში მისი გარდაცვალების 30 წლის შესრულების გამო გაიმართება საღამო. ცალკე გამოიცა მისი სურათი, ფასი 50 კ.

ლეონიდე ეპისკოპოსი კვირას, მარტის 12, მცხეთაში საქართველოს სასულიერო და საერო წარმომადგენელთაგან დიდის საზოგადოების თანადასწრებით არჩეულ იქმნა სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ და საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობ ს თავმჯდომარედ.

ქართველ მეომართა კავშირი შესდგა. პირველი კრება გაიმართა და შესაფერი რეზოლიუციებიც გამოიტანა. არჩეულია აღმასრულებელი საბჭო, რომელშიაც შედის 14 ოფიცერი სამხედრო მოხელეთურ და 16 ჯარისკაცი. მათი მთავარი მიზანია: ბრძოლა რუსეთის რევოლიუციის სასურველად დასამთავრებლად და საქართველოს ეროვნულ ინტერესების დასაცველად.

საპატიმრო-საავადმყოფოდან გაანთავისუფლეს ევ. დვალი, რომელიც მთელი 10 წ. ეწამებოდა სატუსაღოში და ციმბირში. გაანთავისუფლეს აგრედვე ი. არეშიძე.

გათოლმის სეზონი. მარტის 13 დაიწყო შმაუვსკის ახალ თეატრში, ქართ. დრამატ. დასის, რომლის რეჟისორად მოწვეულია ბ-ნი ალ. წულუკიძე. როგორც ვიცით, ეს მეორედ ეწყობა ბათომში სეზონი. პირველი იყო 1912 წ. დასი „მოგზაური“ ბ-ნ შალვა დადიანის ხელმძღვანელობით. მას შემდეგ ომის დაწყებისა გამო შეუძლებელი შეიქმნა დასის მოწვევა, მხოლოდ წარმოდგენები მაინც იმართებოდა ჯარურ სცენის მოუვარეთა დაუღალავ მუშაობით. მაი. დარსეს დრამატიული წრე. მოიწვიეს რეჟისორათ ჯერ ვანო ბარველი, შემდეგ-კი ჩვენი ნიჭიერი რეჟისორი ვალერიან შალიკაშვილი და შეუდგნენ არმოდგენების სისტემატიურათ მართვას თეატრი სულ ავსებული იყო ხალხით, რაც აიხსნება იმით რომ საქართველოში თეატრის მნიშვნელობა დიდათ გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენს ხალხში. აქ სიხარულით მოელიან ქართული დრამის სეზონის გახსნას. ისეთ ნიჭიერ ხელოვანის მოწვევით, როგორიც ბ-ნი ალ. წულუკიძეა, თავდებია იმის, რომ დასი პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას და ალინთებს ბათომელების გულში ამ დეთავბრივ ცეცხლს, რომელსაც ხელოვნება ჭქვია სოლმე და აგრძნობინებს ესთეტიურ სიამოვნებას და აამაღლებს, მას სულიერათ და გონებრივად. გუსურვებთ, რომ ამათი მუშაობა საბურველათ დაგვირგვინებულიყოს

გრიშა გურული

სალამი

აჰა, გულწრფელი სალამი, სალამი ნაწამებისა,
გული კოცონზე ნადები—ეს მსხვერპლი დაკნინებისა;
შმაგი და დაუდეგარი, მდევნელი ბოროტებისა,
არა ლაჩრულათ მომდრეკი თვისი ამაყი ქედისა;—
თქვენთვის მიძღვნია, გმირებო, უმართლოდ დატანჯულებო,
ტლანქისა ძალის ზვარაკნო, შორს მხარეს გატყორცნილებო!..

* * *

ეგებ თქვენ მაინც მოალბოთ, გამოაბრუნოთ სნეული,
თქვენის ყიჟინით 'მეაკრთოთ, არ იქნას მთლათ დაცემული;
თორემ დაღნავდა, დაკნინდა, ალარ სცემს იგი მრისხანეთ,
ძმათა დაქსაქსვით დანელდა... დანელდა-მეთქი, იწამეთ!
მაგრამ თქვენ ისევ შორსა ხართ, ვინ იცის, როს დაბრუნდებით,
ხოლო ჩვენ აქაც გვტანჯავენ ბორკილებითა, ხუნდებით...

ა. გერასიმიძე

მგოსანი

გ. ქუჩიშვილი

დღეს სახალხო სახლში სალიტერატურო დილას მართავს

ახალი კლუბი 1 კვირის პრო. მარტის 19-21

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

ოთხშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ. — საოჯახო საღამო

კვირა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ საშესას. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

უცხო სიტყვა ლექსიონი

შედგენ. იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორედ შევსეულ-შესწორებული. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ღირს 2 მ. 50 კ. გაწერვა კიდევ შეიძლება: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба"—Іос Имедашвили.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ოთხშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი — ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი — საოჯახო საღამო

შაბათი — რუსული წარმოდგენა

კვირა — სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები — 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოგენა — კონცერტების — სინემატოგრაფ — საღ. 8 ნახ ს.

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო სალიტერატურო, სამახტვრო

კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ოქრ პრემიას

აკაკის „ნაკაჟესები და ბრძნული სიტყვები" ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული აზრები" ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დაისახელებული და ხალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, ამხატვრები

ჟურნალის ფასი ორიგე ბრემიით წელიწადში დღრს 8 მან ნახევარის წლით, მახ. 50 კაპ. თითო ნომერი ეუფლგან 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ, 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპანის" **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უადა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" Іосифу Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

რედ-კაშ. ანნა იმედაშვილისა სტამბა „სორაპანი"